დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 15

ქ. დმანისი 08 დეკემბერი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 . აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. მიხეილ დაუთაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. გამლეტ ისმაილოვი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. შოთა აკობაშვილი
18. გუმბათ იუსუბოვი
19. თორნიკე ნინიაშვილი
20. კახა დევნოზაშვილი
21. მერაბი ფოლადიშვილი
22. ლეილა მიქიანი
23. გუსეინ ისმაილოვი
24 თეიმურაზ აფრასიძე
25 ემილ იბრაგიმოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ბექა ლაგურაშვილი , აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი, ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის'' იურისტი ეთო კოპალიანი , დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში მცხოვრები ბინნათ ისკანდაროვი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 13. 30

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“		
		მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე		
		მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ		
		მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
4	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**
5	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**
6	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**
7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**
8	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**ბ.ლაგურაშვილი**
9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ		
		მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

10	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

11	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.''
მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

12	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.''
მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

13	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''
მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

14	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“
მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა **კობა მურადაშვილმა** მოკლეთ მიმოიხილა დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი. ისაუბრა პრიორიტეტებზე, მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ასევე სოციალური პროგრამების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: თ. ნინიაშვილმა , ე. კოპალიანმა , ბ. ინსკანდაროვმა.
მუნიციპალიტეტის სოფლებში მულტიფუნქციური სივრცეების მოწყობასა და ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდების ხელშეწყობისა და დასაქმების შესახებ.
მუნიციპალიტეტის მერმა კობა მურადაშვილმა ამომწურავად უპასუხა დასმულ კითხვებს.

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13629,6ათას ლარს შეადგენს. 2022წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3189.1 ათასი ლარით (23,4%-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12129.6 ათასი ლარით;

  2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 25.9%-ით (3139.1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500.0 ათას ლარს;

  2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 3,3%-ით (50,0 ათასი ლარით) იზრდება.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 160,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად- 160,0 ათასი ლარი.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2230,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ პროცენტები 200,0 ათასი ლარი.

  2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები იგივე ოდენობით განისაზღვრა.

- ✓ რენტა 2030,0 ათასი ლარის ოდენობით

  2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა იგივე ოდენობით განისაზღვრა, ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე ლიცენზია გაცემულია იგივე ოდენობით.

- ➢ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 45,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 4,0 ათასი ლარი;
  - ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 1,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 10,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 0,0 ათასი ლარი;

- ➢ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 75,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 70,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის გამო 3,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 2,0 ათასი ლარი;

- ➢ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 200,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 200,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს;

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება0,0 ლარის ოდენობით;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 80.6ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 16539.6 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან 13120.5ათასი ლართან შედარებით იზრდება 3419.1 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, -1) დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდით 3139.1 ათასი ლარით,არაფინანსური აქტივების კლებით-200.0 ათასი ლარის ოდენობით,ქონების გადასახადის ზრდით-50,0 ათასი ლარით და მიზნობრივი ტრანსფერის ზრდით 30.0 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით როგორიცაა:მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის და საკრებულოს თანამშრომლების ხელფასების ზრდა, ,ააიპ-ის სუბსიდირების ზრდა თანამშრომელთა ხელფასებისთვის,მერიის საქონელი და მომსახურების მუხლის ზრდით კომუნალური გადასახადების მატების შედეგად,ასევე სატრანსპორტო საშუალებების საწვავების ფასების და ლიმიტების გაზრდით .

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4630.3 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 644,2 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: დაგეგმილია აღნიშნული თანხის ფარგლებში ქ.დმანისში კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილობრივი ბიუჯეტის წილი შეადგენს 294.2 ათასი ლარი (თანა დაფინანსება). ხოლო გზების მოვლა- შენახვისთვის გათვალისწინებულია 350.0 ათასი ლარი.

წყლის სისტემების განვითარება -1318.1 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: -მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 1200,0 ათასი ლარი ქ.დმანისში და 19 სოფელში სასმელი წყლის მშენებლობისთვის. სოფელ იფნარის მაგისტრარული ხაზის ,ახალი რეზერვუარისა,შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება 102.6 ათასი ლარი, ხოლო სოფელ დაგარახლოში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაციისთვის თანადაფინანსების გათვალისწინებით 15.5 ათასი ლარი.

გარე განათება - 630.0,0ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია ელექტრო მრიცხველების შეძენა-მონტაჟი 30,0 ათასი ლარი და გახარჯული ელექტრო ენერგიის ხარჯი 600.0 ათასი ლარი.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 1046.6 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 48,4 ათასი ლარი, ხოლო სოფელ ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულია 498.2 ათასი ლარი და ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 200.0 ათასი ლარი. ასევე მუნიციპალიტეტის მერია ითვალისწინებს სვანეთიდან გადმოსახლებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 300.0 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებები პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები,რისთვისაც გათვალისწინებულია 191,4 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 300,0 ათასი ლაი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია500.0ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, გარე განათების რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის კონკრეტული მოსახლეობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1590.0 ათასი ლარი; მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1510.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვა.

>უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისთვის -20.0 ათასი ლარი.

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 60,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა.

განათლება - 1334.0 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება -1190.0 ათასი ლარი;

წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 406.2 ათასი ლარით ანუ 51.8 %,რაც გამოწვეულია კომუნალური ხარჯების, კვების პროდუქტების ფასების ზრდით და თანამშრომლების ხელფასების ზრდის შედეგად..

>საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა -136.0 ათასი ლარის ოდენობით

2022 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 32.3 ათასი ლარით (31,1%)რაც გამოწვეულია თანამშრომელთა ხელფასების და კომუნალური ხარჯების ზრდით.

დაწყებითი ზოგადი განათლება -0,0 ათასი ლარი

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ ულებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწალეების გადაყვანა ლარი, და სკოლების მცირე რეაბილიტაცია ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1861.1 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა -481,6 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები

მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1379.5 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების,კულტურული ღონისძიებების,რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1261.3 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 107,5 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერიდან 69.0 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 1153.8 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამისთვის გათვალისწინებულია -370.0 ათასი ლარი,მათ შორის:დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება-19.2 ათასი ლარი,ერთჯერადი დახმარება- 216.0 ათასი ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება-15,0 ათასი ლარი, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება-26,4 ათასი ლარი,მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა- 15,0 ათასი ლარი,18 წელს გადაცილებული შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა -52,4 ათასი ლარი და მარჩენალდაკარგული დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური დახმარების პროგრამა-400,0 ათასი ლარი.

ტრანსპორტითმომსახურების მუნიციპალური პროგრამა-148,8 ათასი ლარი.

მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა-140,0 ათასი ლარი.

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის-64,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა -0,0 ათასი ლარი;

ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრმა 0,0 ათასი ლარი

მმართველობა - 5862.9 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება 1080.0 ათასი ლარი;

მერია - 4782.9 ათასი ლარი;

მათ შორის;

საერთო დანიშნულების ხარჯები -345.6 ათასი ლარი;

აქედან : სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი-115.0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა-80.6 ათასი ლარი , საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენს 55,6 ათას ლარს,ხოლო პროცენტი 25.0 ათას ლარს.

სარეზერვო ფონდი - 150,0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**16539.6**
01 0101	საკრებულო	1080.0
01 0102	მერია-სამხედრო სამსახური	4437.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	345,6
	აქედან სარეზერვო ფონდი	150.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4630.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	644.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1318.1
02 03	გარე განათების რეაბილიტაცია	630.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1590.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	1510.0
03 03 0304	კაპ,დაბანდებები დასუფთავების სფეროში-60.0 ათასი ლარი უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები.-20.0 ათასი ლარი	80,0
04 00	განათლება	1334.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება და პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა	1334.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	481.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1379.5
06 00	ჯანმრთველობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1261,3
06 01	ჯანმრთველობის დაცვა	107.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთველობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	107.5
06 01 02		
06 02	სოციალური დაცვა	1153.8
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	370.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საწვავით (ბრიკეტები) უზრუნველყოფა	64.0
06 02 03	სამედიცინო სტაციონალური დახმარებები	400.0
060204	სარიტუალო მომსახურება	1,0
060205	სათნოების სახლის სუბსიდირება	140.0
060206 060208	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა	148,8 30.0
0204 , 0205 0206 0207	ბინათმშენებლობა-1046,6 ათასი ლარი, კეთილმოწყობა-191,4 ათასი ლარი, სოფლის პროგრამა 500,0 ათასი ლარი, საპროექტო მომსახურება- 300.0 ათასი ლარი.	2038.0

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში გათვალისწინებულია 16539,6 ათასი ლარი,მათ შორის:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5725.9 ათასი ლარი;

თავდაცვა - 137.0 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა - 644.2 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა - 1590.0 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3986,1 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა - 107,5 ათასი ლარი;

განათლება - 1334.0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა - 1153.8ათასი ლარი;

დასვენება,კულტურა და რელიგია-1861,1 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);

ინფორმაცია 2022 წლის წლის 9 თვის შესრულების შესახებ;

ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ნინიაშვილმა .

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

2. **მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 -2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ასახულია დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

3. **მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებით და განისაზღვრა 13120.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გადასახადები 10440,5 ათასი ლარი,გრანტები 130,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები 2550,0 ათასი ლარი. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 9 ცვლილება,რაც გამოწვეული იყო 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვით 5 შემთხვევით და შიდა გადაადგილებით მუხლებს შორის 3 შემთხვევა,რომლის შემდგომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობამ

შეადგინა 30174.6 ათასი ლარი და გადასახადები განისაზღვრა 11200.0 ათასი ლარით, გრანტები 8310.0 ათასი ლარით,სხვა შემოსავლები 2850,0 ათასი ლარით და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან 7814,7 ათასი ლარის მიმართვით ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 9 თვის პერიოდში შემოსავლები დაგეგმილი იყო 19525.3 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 14949.9 ათასი ლარი,ანუ გეგმა შესრულდა 76.6%-ით. მათ შორის: გადასახადები დაგეგმილი იყო 9110.5 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 8346.4 ათასი ლარი ანუ გეგმის 91,6%, გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 8137.6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3616.1 ათასი ლარი, ანუ 44%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 2277.2 ათასი ლარით, ფაქტიურად შემოსულია 2987,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 131,2%–ით, მათ შორის: რენტა დაგეგმილი იყო 1854.1ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 2083,1 ათასი ლარი, ანუ 112%, კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსებულ თანხიდან შემოსულია 238,8 ათასი ლარი,დაგეგმილი თანხის 200.0 ათასი ლარის 119%. ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული დაგეგმილი იყო 137.1 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 533,8 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულდა 389 %-ით,ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია შემოსავალი 410.0 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი იყო 26970.8 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად ათვისებულია 13258,8 ათასი ლარი ანუ 58.4%, მათ შორის:

>მართველობას და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 693.5 ათასი ლარი,ფაქტიურად დაიხარჯა 658.3 ათასი ლარი,ანუ ათვისებული იქნა 95%. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 2743,4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 2492.9 ათასი ლარი, ანუ ათვისებული იქნა 90,8 %-ი. თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 94%, (გეგმა -87.4 ათასი ლარი, ფაქტი - 82.6 ათასი ლარი)

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 19182.4 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 9064.9 ათასი ლარი,ანუ 47% მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვაზე დაგეგმილია 4189.4 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 1285.1 ათასი ლარი,ანუ 30,7%, წყლის სისტემების განვითარებაზე დაგეგმილია 4179.7 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 2559.2 ათასი ლარი, ანუ 61,2%, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაგეგმილია 1034.3 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 558.3 ათასი ლარით,ანუ 54% შესრულდა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციაზე ასევე მოსახლეობის საკუთარი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 3550,6 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 1784,0 ათასი ლარით,ანუ შესრულდა 50%, კეთილმოწყობის ღონისძიებები დაგეგმილია 4262.1 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 2435.2 ათასი ლარით,ანუ შესრულებულია 57.1%, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაგეგმილი იყო 1281.0 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად დაფინანსდა 190.8ათასი ლარით ანუ შესრულებულია 14,9% და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების გაწევისათვის დაგეგმილია 685.3 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 252.3 ათსი ლარი,ანუ 36,8%.

დასუფთავება და ნარჩენების მართვა დაგეგმილია 762.5ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად შესრულებულია 616.5 ათასი ლარის ოდენობით,ანუ 81%,მათ შორის: დასუფთავება და ნარჩენების გატანა ააიპ „ კომუნალური სამსახურის“ მეშვეობით ხორციელდება ნარჩენების გატანა და მათი სუბსიდირება დაგეგმილია 702.5 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად დაფინანსებულია 616.5 ათასი ლარით ანუ შესრულებულია 81%,ხოლო უპატრონ ცხოველების მოვლითი ღონისძიებების და კაპიტალური დაბანდებების ხარჯები დაგეგმილია 60,0 ათასი ლარი,ხოლო ფაქტიური შესრულება არ განხორციელებულა.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილია 1441.6 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსებულია 1008,4 ათასი ლარის ოდენობით,მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის დაგეგმილია 680.8 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 573.8 ათასი ლარი,ანუ 84%; საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება დაგეგმილია 75.6 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 67,2 ათასი ლარის ფარგლებში ანუ 89%, და საჯარო

სკოლების დაფინანსება დაგეგმილია 685,2 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 367.4ათასი ლარი ანუ 53,6%.

კულტურა,რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაგეგმილია 1063.7 ათასი ლარი,ფაქტიურად ათვისებულია 956.7.0 ათასი ლარი,ანუ 90%. მათ შორის:სპორტული დაწესებულების ხელშეწყობის დაფინანსება დაგეგმილია 295.2 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 245.9 ათასი ლარით,ანუ 83%, კულტურული სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა დაგეგმილია 379.0 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 359,1 ათასი ლარით ანუ 94,7%, კულტურული ღონისძიებები დაგეგმილია 120.0 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსდა 96,5 ათასი ლარით,ანუ 80%, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა დაგეგმილია 99.9 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 95,4 ათასი ლარი.ანუ 95,5%, საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა დაგეგმილია 99.6 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 89.8 ათასი ლარით,ანუ 90% და რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა დაგეგმილია 70,0 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 70,0 ათასი ლარით ანუ 100%.

მოსახლეობისჯანმრთველობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაგეგმილია 828.8 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 721.4 ათასი ლარის ფარგლებში ანუ შესრულებულია 87%, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯადაცვა დაგეგმილია 55.0 ათასი ლარით,ფაქტიურად შესრულბულია 54.0 ათასი ლარით,ანუ 98 % ,ავადმყოფთა სოციალური დაცვა დაგეგმილია 350,0 ათასი ლარით,ფაქტიური შესრულება დაფიქსირდა 278.4 ათასი ლარი ანუ 79%, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 320.0 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებულია 309.5 ათასი ლარის ოდენობით,ანუ 97%,სარიტუალო მომსახურება 80% (გეგმა 1.0ათასი ლარი,ფაქტი 0,7 ათასი ლარი),სათნოების სახლი დაგეგმილია 77.3 ათსი ლარი,ფაქტიურად დაფინანსებულია 74.5 ათასი ლარით,ანუ 96% და ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 102.8 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად კი შესრულებულია 69.1 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 67,2%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წლის 9 თვეში გაცემული იქნა ერთჯერადი სახით მრავალშვილიან 19 დედაზე 3800 ლარი,ხოლო ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლების, თივის ზვინების,გარდაცვლილი მოქალაქეების -სარიტუალო ხარჯი, სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამის"დღესთან დაკავშირებით 20 აზერბაიჯანულ ოჯახზე სასაჩუქრე კალათების გადაცემისათვის, სპორტსმენების ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად,ბინის დაქირავებისათვის და სხვა დახმარებების გაწევისათვის ჯამში გაიცა 118,7 ათასი ლარი.სულ საანგარიშო პერიოდში გაიცა 122,5 ათასი ლარი. 2022 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით ნაშთის ოდენობამ შეადგინა 77,7 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კანონის „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებებში თანამდებობრივი სარგოების 10%-იანი ზრდა, რაც გაგრძელდება 2026 წლის ჩათვლით. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოების 10%-იანი ზრდა.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კანონის „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებებში თანამდებობრივი სარგოების 10%-იანი ზრდა, რაც გაგრძელდება 2026 წლის ჩათვლით. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობრივი სარგოების 10%-იანი ზრდა.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N11 დადგენილების „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დამტკიცების შესახებ“ მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2023 წლის პირველი იანვრიდან, მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში იქმნება ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილება, რის საფუძელზეც, სამსახურს ემატება 1, განყოფილების უფროსის შტატი.

კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების მეორად სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნა მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი.

ასევე, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის პირველად სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნა მე-3 რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი.

საქართველოს კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველად სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნა მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (სოციალური მუშაკი) შტატი.

დადგენილების პროექტში, მერიაში წინა წელს განხორციელებული საჯარო მოსამსახურეთა შეფასების ანგარიშების შედეგების საფუძველზე, რიგ შემთხვევებში განხორციელდა მოხელეების რანგების მატება.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების იზრდება ანაზღაურება 200 ლარით ანუ 600 ლარის ნაცვლად ჯამში შეადგენს 800 ლარს .

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

7. მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ასევე საწვავთან დაკავშირებით განსაზღვრული იყო საკრებულოს განკარგულებით საწვავის ლიმიტი თანამდებობების მიხედვით და აღნიშნულ ლიმიტს ემატება ყველას 50 ლიტრი, გარდა საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილეებისა მათ ჰქონდათ 100 ლიტრი საწვავი და ემატებათ 100 ლიტრი რაც ჯამში მოადგილეების საწვავის ლიმიტი შეადგენს 200 ლიტრ საწვავს.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ნინიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

8. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. დადგენილების მიღების საფუძველი:

ა) საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 209 3 -ე მუხლი;
ბ) საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 283-ე მუხლის მე-5 ნაწილი - „ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად მიაქცევს დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი)";
გ) საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 284-ე მუხლი;
დ) საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-20 მუხლი;

2. დადგენილების მიღების მიზანი:

დადგენილების მიზანია „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილებითა და საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 209 3 -ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ეფექტური აღსრულების მექანიზმის შემუშავება. კერძოდ, საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 209 3 -ე მუხლში მოცემულ სამართალდარღვევებს, მუნიციპალიტეტი ადგილზე განიხილავს და სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისგებაში მიცემულ პირს შეუფარდებს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელებიდან ერთ-ერთს. მათ შორისაა - ჯარიმა, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს იძულებით აღსრულების პროცედურებს. საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „აღსრულების ეროვნული ბიურო, სააღსრულებო

წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ, კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე"... შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევებში, კანონი პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამომცემ ორგანოს ანიჭებს სააღსრულებო ფურცლის გამოცემის უფლებამოსილებას, რათა შესაძლებელი გახდეს სააღსრულებო პროცედურების დაწყების უზრუნველყოფა.

3. დადგენილების ძირითადი არსი:

წარმოედგენილი ცვლილების პროექტით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილებას ემატება მე-6 1 მუხლი, რომლითაც მტკიცდება დანართი N6 „სააღსრულებო ფურცლის ფორმა“, რომლის მეშვეობითაც, პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამომცემ ორგანოს (დმანისის მუნიციპალიტეტის მერია) უფლებამოსილ პირს, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება იძულებით აღსასრულებლად მიაქციოს კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ჯარიმა.

4. პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

ა) განსახილველ პროექტს გავლენა არ ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ) განსახილველი პროექტი პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

9. მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

,,ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა“ (ახლად წარმოდგენილ პროგრამაში გაუქმდა მე-4 მუხლის დ) ქვეპუნქტი ,,წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ) ბენეფიციარის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, არა საკმარისი ფინანსური რესურსის გამო დაფინანსება მოხდება წერილწადში მხოლოდ ერთხელ;

1. ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამაში თანხა წელს იქნება 2 000 ლარის ნაცვლად 3 000 ლარი - ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა;
2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამაში გასულ წლებში გამოყენებული ტერმინი ,,საგარანტიო წერილი “ შეიცვლება ,,ადმინისტრაციული დაპირებით“;
3. აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამაში გამოყენებული ტერმინი ,,საგარანტიო წერილი“ შეიცვლება ,,ადმინისტრაციული დაპირებით“;
4. მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამაში გამოყენებული ტერმინი ,,საგარანტიო წერილი “ შეიცვლება ,,ადმინისტრაციული დაპირებით“ ;
5. ტრანსპორტით მომსახურების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამაში, კერძოდ, მე-4 მუხლის დ) ქვეპუნქტში ჩაემატა სატრანსპორტო მიმართულება ,,კვირაში ერთი დღე - სოფელი გომარეთი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ გომარეთის მიმართულებით“ . პროგრამაში ეს მიმართულება დაემატა 2 ადმინისტრაციული ერთეულის (ველისპირი და გომარეთი) მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე.

ასევე ემატება ახალი პროგრამები:

1. „18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2023 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა“ პროგრამული კოდი (06 02 01 06)

   ეს პროგრამა შემუშავდა იმ რეკომენდაციების და კვლევების გათვალისწინებით, რომელიც მუნიციპალიტეტმა რეკომენდაციის სახით და შესასრულებლად მიიღო მიმდინარე წლის 31 მაისს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 21 მაისის N01/1693 წერილით, სადაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი ,,კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში მომზადებული სპეციალური ანგარიშში ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებსა და გოგონების საჭიროებებისა მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“ ასახულია რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ (თან ერთვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი, კვლევის ანგარიში და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მალზახი გვიჩიანის მოხსენებითი ბარათი) და დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

2. ,,მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის 2023 წლის სოციალური ქვეპროგრამა“ პროგრამული კოდი (06 02 01 07)

   ინიციატივა წამოვიდა ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილებიდან. სულ ასეთი ბავშვი არის 145, რომლებიც რალურად საჭიროებენ ფინანსურ მხარდაჭერას, ვინაიდან მათი ნაწილი არ იღებს სოციალურ შემწეობას, არ აქვს სოციალური სტატუსი და დაფინანსდებიან ახალი მუნიციპალური პროგრამით.

3. ,,ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა“ პროგრამული კოდი 06 02 08;

   პროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, hilsferk internationals - სა და იგპ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობას“ შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად (თან ერთვის მემორანდუმი და შეთანხმება)

4. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო სტატუსის მქონე მრავალშვილიანი (არასრულწლოვანი) ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა“;

   მერიაში შემოსული განაცხადის საფუძველზე, როდესაც დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, მერიაში შექმნილი კომისია განსაზღვრავს და ოჯახს მიანიჭებს უსახლკარო პირის დამადასტურებელ სტატუსს და შემდგომში ისარგებლებს საცხოვრებელი ფართით.

5. ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა“; პროგრამა განხორციელდება მერიაში შემოსული განაცხადების საფუძველზე ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეშვეობით.

6. ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) 2023 წლის ქვეპროგრამა“

   მიმდინარე წელს გამოვლინდა რამოდენიმე შემთხვევა, რომელმაც ფაქტის წინაშე დაგვაყენა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის საჭირო გახდა მსხვერპლის ოჯახიდან გაყვანა/განცალკევება, ამიტომ მიზანშეწონილია დაინერგოს მათთვის გარკვეული პერიოდით (მცირე ხნით) ბინის დაქირავების პრაქტიკა.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

10. მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

მიზანი:

- ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;

არსი: „წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა“ წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთ ქვეპროგრამას. აღნიშნული ქვეპროგრამის შექმნა განაპირობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდობის მხრიდან, წლის განლავმობაში მოთხოვნილმა მხარდაჭერამ.

აღნიშნული წესით ისარგებლებენ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალმთიანი სტატუსის მქონე ახალგაზრდები:

- რომლებსაც ესაჭიროებათ, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის მიზნით, სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება;
- რომლებმაც, წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტში და ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა;
- რომლებიც მონაწილეობას იღებენ ისეთ პროექტებში/ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს, დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს დმანისში მცხოვრები ახალგაზრდობისთვის და მხოლოდ ამ პირობით შესაძლოა მოიცავდეს ღონისძიებების დაფინანსებას, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული, ასევე ქვეყნის საზღვრების გარეთ.

რომლებიც, უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის მიზნით, მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და ესაჭიროებათ სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება;

პირები (ხელოვანები, მწერლები, პოეტები, ხალხური სიტყვის მთქმელები და ა.შ), რომელთა მოღვაწეობა ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით. რომელთა მიერ წარმოდგენილი პროექტები/ნამუშევრები ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულებისაა და ემსახურება ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებისა და ახალგაზრდობის ზრდა-განვითარებას.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

11. მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.''

იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ერთ-ერთი სახეობის - ფეხბურთის მიმართ გამოკვეთილია ახალგაზრდების მხრიდან დაინტერესების მზარდი ტენდენცია,

შესაბამისად დღის წესრიგში დადგა, ნორჩ ფეხბურთელთა წახალისების მიზნით შესაბამისი ქვეპროგრამის მომზადება.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შედეგად, დაფინანსებას დაექვემდებარებიან ბენეფიციარები, 6-დან 12 წლის ჩათვლით სპორტსმენები, რომლებიც ჩაირიცხებიან მუნიციპალიტეტში მოქმედ შპს. „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლაში“ და ეს პიროვნებები შეიძლება იყვნენ:
იძულებით გადაადგილებული პირები;
არასრულწლოვანი ობლები;
მრავალშვილიანი ოჯახები;
ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები (ქულა 100 000 -მდე).
განსაკუთრებული მონაცემების მქონე სპორტსმენები, რომელთა სპორტული ნიჭი დასტურდება დინამოს წარმომადგენლისა და მწვრთნელთა შესაბამისი დასკვნით.
აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25
წინაღმდეგი:
12. **მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.''

იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრიორიტეტულ, განვითარებად სოფლის მეურნეობის დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა, რასაც ეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების უმრავლესობა, რომლებსაც გააჩნიათ წვრილი, ე.წ. „გლეხური მეურნეობა“, დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავა „დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების“ დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2018 წლიდან ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტების პროფესიული სასწავლებელი - შეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“, სადაც მიმდინარეობს სწავლება 2 წლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე. განკარგულების წესის თანახმად სტუდენტი რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მუდმივად მაცხოვრებელი პირია,რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს სოფ.სარკინეთში არსებულ შვეიცარიულ აგრარულ სკოლა „კავკასიაში“, წლის გადასახადი დაუფინანსდება წლიური ღირებულების 50%-ის ოდენობით.
აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25
წინაღმდეგი:
13. **მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''

ა) წარჩინებულ სტუდენტებს, ასევე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულით (A)ფრიადი და მხოლოდ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს (B)ძალიან კარგი შეფასების საფუძველზე ყოველ თვიური დაფინანსება გაეზრდებათ 50 ლარით;

ბ) 4+1 პროგრამით მოსარგებლე, კერძოდ ე.წ ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო კურსის სტუდენტი/მსმენელისთვის ჩაიდება დამატებითი კუმულაციური კრიტერიუმები, კერძოდ, ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს სოციალურად დაუცველის სტატუსი და აკადემიური მოსწრება უნდა დასტურდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით **(A) ფრიადი** (შეფასების 91-100 ქულა).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

14. **მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამეურნეო დანიშნულებით დამუშავების პროცესის წახალისება და მოქალაქეთა ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფია (შემდგომში „ბენეფიციარი“) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) და რომელსაც დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქვს (ფაქტობრივი ფლობა, საკუთრება) დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პროგრამის ბენეფიციარებს განსაზღვრავს მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მერი ან მის მიერ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

პროგრამის ფარგლები და დაფინანსების წყარო

ბენეფიციარი მიმდინარე წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად, არანაკლებ 0,05 ჰა და არაუმეტეს 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამუშავებისას.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“-სათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ამ პროგრამის ბენეფიციარებისათვის მომსახურება არის უფასო.

მიმდინარე წლის შედეგების საფუძველზე, პროგრამამ იმუშავა ეფექტიანად და ეს აისახა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, სულ, 2022 წლის განმავლობაში, პროგრამით ისარგებლა 201-მა ბენეფიციარმა და მოიხნა სულ - 114,97 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა. ხარჯებმა 2022 წლის პერიოდში შეადგინა - 29 870,34 ლარი .

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი